ცოტა რამ კათარზისის შესახებ

გია ბუღაძე
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ანოტაცია:
განხილულია კათარზისის მოვლენა ხელოვნებაში
საკვანძო სიტყვები: კათარზისი შემოქმედება ხელოვნება ლოგიკა

შემოქმედებით პროცესებზე დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ადამიანი უსაშველოდ ცვალებადი არსებაა და გარკვეული დროის განმავლობაში რადიკალურად შეიძლება განახლდეს ან გამოიცვალოს. ეს ცვლილებები განსაკუთრებით მძაფრად და თვალნათლივ ვლინდება ხელოვნებაში, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს კონკრეტულად მხატვრობის არსში მომხდარ ცვლილებათა შინაგანი ლოგიკა და დანიშნულება.

საკითხის განხილვას დავიწყებთ არისტოტელეს ერთ-ერთი ცნობილი განსაზღვრებით, რომელიც მან გამოიყენა როგორც თავის ,,პოლიტიკაში'', ისე პოეტიკაში და რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ხელოვნების ძირითადი დანიშნულებების, ფუნქციებისა და მიმართებების დადგენის საქმეში.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ხელოვნების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს მიძაბვა-განმეორება ანუ ბერძნული ტერმინით — ,,მიმეზისი''. თავდაპირველად ბერძნები ცნება ,,მიმეზისში'' ოდნავ განსხვავებულ მნიშვნელობას გულისხმობდნენ. იგი სამყაროს უბრალო მიბაძვას კი არ გამოხატავდა, არამედ მის აღსრულება-გადმოცემას იმავე კანონებითა და წესებით, რომლითაც მიბაძვის ობიექტი — ზოგადად სამყარო შეიქმნა. ე.ი. — ,,მიმეზისი'' თავისი თავდაპირველი შინაარსით უფრო იმ კანონებისა და წესების მიბაძვას ნიშნავდა, რომლითაც მოქმედებდა და ქმნიდა მილმიური გონი ანუ დემიურგი. ასე რომ, მიმეზისი— მიმსგავსება, მიბაძვის სიზუსტე განსაზღვრავდა ხელოვნების ქმნილების სრულყოფილების მასშტაბს და ხელოვნების ყოველი სფეროსათვის აუცილებელ მოთხოვნად იყო აღიარებული.

არისტოტელეს დროინდელი განსაზღვრებით ის, რაც არ ,,მიმეტირებს'', არ მიიბაძება — ხელოვნება ვერ იქნება.

არისტოტელე ყურადღებას ამახვილებს იმ განსაკუთრებულ მოვლენაზე, რომელიც ხელოვნების მხოლოდ ზოგიერთ დარგში იჩენს თავს და მათში ,,მიმეტურისაგან'' განსხვავებული სპეციფიკური ფუნქციის არსებობას მოწმობს. ესაა განმწმენდი კათარზისული ფუნქცია, ანუ ხელოვნების ზოგიერთი დარგის სპეციფიკური არსის უმაღლესი თვისება და მოთხოვნილება.

არისტოტელეს აზრით, ხელოვნების კათარზისულ სახესხვაობებს

წარმოადგენდა პოეზია, მუსიკა და ცეკვა, ხოლო სხვა დანარჩენი, მაგალითად, სკულპტურა, ფერწერა, არქიტექტურა — ამ თვისებებს მოკლებული იყო, ანუ არაკათარზისული დარგები იყო. ისინი მხოლოდ მიმეზისის მოთხოვნილებითა და ფუნქციით შემოიფარგლებოდნენ, რადგან, როგორც ჩანს, სწორედ მიმეტურობა წარმოადგენდა მათი სპეციფიკის გამოხატულებას.

ხელოვნების დარგების არისტოტელესეული, ეს მართლაც შესანიშნავი ფუნქციონალური დიფერენცირება ძირითადად განეკუთვნებოდა ადამიანის შემოქმედებითი ყოფიერების იმ პერიოდს, როდესაც ერთიანობაში განიხილებოდა რელიგია, მეცნიერება და ხელოვნება.

იმ დროს, როდესაც ეს აზრი ჩამოყალიბდა, გარკვეული სპეციფიკურ-დარგობრივი დიფერენცირების მიუხედავად, ყოველივე სწორედ ერთი პრინციპისა და მიზნის გამოხატულება იყო. (თუნდაც კულტმსახურების დანიშნულების თვალსაზრისით). ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობა საერთო ადამიანურ მისწრაფებას გამოხატავდა იდეალურ სინთეზში, როდესაც ერთიანი სათქმელი და განცდა მსჭვალავდა ხელოვნების ცალკეულ დარგებს.

ამ სინთეზის, ამ მთლიანობისა და მისი შინაგანი დიფერენცირების შემდგომი პერიოდის შესანიშნავი გამოვლენა გახლავთ თომა აქვინელისა და მისი მომდევნო სქოლასტიკოსთა ნააზრევი, რომლებიც ისევ და ისევ არისტოტელური სპეციფიკური ფუნქციონალური დიფერენცირებისა და იერარქიული დანიშნულების მკაცრი საზღვრების დადგენაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ე.ი. ზოგადი იერარქიული თანამიმდევრობითი სინთეზის ფარგლებში ყოველივეს მიუჩენდნენ მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციონალურ ადგილს.

რიტუალის რელიგიურ-ფუნქციონალური, კონფესური საზრისი და აქედან გამომდინარე აღმსარებლობის ფორმა იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ადამიანის შემოქმედების საზღვრებს, მის ფუნქციონალურ, არისტოტელესეულ განსაზღვრებას ცვლილება არ ემუქრება.

მიუხედავად ამისა, სწორედ რელიგიური რენესანსის წიაღში წარმო-

იშვა ახალი პრინციპი, რომელიც მძაფრად უკავშირდება პროტესტანტულ-რეფორმისტული მებრძოლი განწყობილებებისა და ამბოხის იდეების ექსპანსიას შუა საუკუნეების სქოლასტიკის სფეროში.

სქოლასტიკის რაციონალურ მეტაფიზიკას „სოციალური პლანის მიმართ" მთელი შეგნებით დაუპირისპირდა რეფორმაციის პრაგმატიზმი და ემპირიზმი, ასე ვთქვათ, უხეში სიმართლე. ამის შედეგად კი შეიცვალა და დაინგრა რიტუალური პირობითობა, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიმართებები, რიტუალური შეთანხმებები, დამკვიდრდა ერთგვარი „გარიგებები", ინდულგენციები, სატისფაქციები და ა.შ.

თავისთავად ცხადია, რომ რელიგიური ცხოვრებიდან ისეთი რიტუალური პირობითობის მოხსნას, როგორიცაა აღსარება, და მის სანაცვლოდ ცოდვის გამოსასყიდი თანხის დაწესებას, ან გარკვეულ გარიგებას საეკლესიო ხაზინასა და სააღსარებოდ განწყობილ ცოდვილს შორის განსაკუთრებული, თვალშისაცემი შედეგები უნდა მოჰყოლდა და ასეც მოხდა. როგორც გოეთე ეკერმენთან საუბარში შენიშნავდა, „დიდი უბედურებაა ის, რომ ადამიანს აღსარების უფლება წაართვეს".

აღსარების მოხსნა, მისი რიტუალიდან ამოღება და საერთოდ, რიტუალის ძირითადი პირობითობების უარყოფა ადამიანს აყენებს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე: იგი რეალურად (და არა მხოლოდ პირობითად ან სიმბოლურად) ველარ ნახულობდა საშუალებას, რათა განეცადა განწმენდის, შინაგანი კათარზისის მდგომარეობა.

ამ რიტუალური განცდის გარეშე ადამიანი აღმოჩნდა მძლავრი უკმარისობის სიმძიმისა და მერყეობის მდგომარეობაში. ამიტომ, ამ ექსტრემალური სიტუაციიდან გამომდინარე, კომპენსაციის მიზნით, მან მიმართა შინაგანი, შემოქმედებითი აღსარების ხერხს, რაშიც მას პირველ რიგში მხატვრობა დაეხმარა და გამოადგა კიდეც. რეფორმაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხატვრობას მოუხდა უარი ეთქვა არისტოტელურ მდგრად ფუნქციონალურ განსაზღვრულობაზე და კარი გაეღო ახალი კათარზისული აღსარებითი ფორმებისა და შესაძლებლობებს.

რეფორმაციამ მხატვრობას მიმეტური ფუნქციის ნაცვლად კათარზი-

სული ფუნქცია — თვისებები შესძინა. თვით მხატვრობამ კი ამით აღსარებითი თვითდაცვის, თვითგანწმენდის, თვითკათარზისის არარიტუალური და ძალზე კონკრეტული ფუნქცია შეითვისა.

რეფორმაციის ამ ტალღაზე იქმნება იერონიმუს ბოსხის ტილოები, თუ მათიას გრიუნევალდის „წმ. ანტონის ვნებები". მძაფრი ინფერნალური სახეებითა და ადამიანის სილრმეში დაძირული კოშმარული ხილვებით, რომელთა მოშორებაც, რამდენადმე მაინც, ან რიტუალური აღსარებით ხდებოდა შესაძლებელი (კათოლიციმზში), ან კიდევ—მხატვრობით (რეფორმაციის პერიოდში), რომლის სპეციფიკის ფარგლებიც ამ ხანებში განუზომლად გაფართოვდა.

მხატვრობამ ამ დროს უდიდესი ნაბიჯი გადადგა პირობითობისაკენ, კონკრეტულ სახეში აბსტრაქციის შემოტანისაკენ. მხატვრობა ამ დროს რეალურად ცდება მიმეტურობის ჩარჩოებს და იმ შინაგანი მდგომარეობის ამსახველად იქცევა, რომელსაც ფორმალური, საგნობრივ-სივრცობრივი შესატყვისი, ანუ მიბაძვის ობიექტი არ გააჩნია.

კათარზისულობის შემოტანით მხატვრობა უკვე უარს ამბობს მის გარშემო არსებული ნივთებისა და საგნების გადმოღებასა და მიბაძვაზე და შინაგანი მდგომარეობის შესატყვის ობიექტებს ეძებს. იგი ხელს უწყობს კონკრეტულ ფორმაში ზოგადის აქტიურ დამკვიდრებას, აბსოლუტური ზოგადობის, ცნებითობის და, აქედან გამომდინარე, აბსტრაქციის წარმოქმნას.

პირველი აბსტრაქციები, შინაგანი არამიმეტური განცდები მხატვრობაში, თავისი საწყისი ნიშნებით სწორედ გრიუნევალდთან და ბრეიგელთან გვხვდება. შინაგანი მდგომარეობის ფორმალური შესატყვისობები რეფორმაციის პერიოდში „აბსტრაქტული" ფანტაზმების სახით ვლინდება, ხოლო შემდეგ ყოველი მეტ-ნაკლებად განვითარებული მიმეტური, მიმსგავსებული ფორმა ან ხერხი თანდათანობით გადაიზრდება მისსავე კათარზისულ სახეში, ანუ ფორმაში განსახიერებულ აბსტრაქციად იქცევა.

მხატვრული ხერხის მიმეტურიდან კათარზისულში გადასვლა, პირველ რიგში, გულისხმობს მის სრულ ფორმალიზაციას. ეს კი იმას ნიშნავს,

რომ ფორმალური ხერხი, რომელიც გამოსახულებას მიმეტური პრინციპის გათვალისწინებით ქმნის, მთლიანად თვითმკმარ ფორმალურ მაქსიმუმში გადაიზრდება. ფორმა სავსებით დაიწმინდება გამოსასახი, მისაბაძი შინაარსისაგან და საკუთრი ფორმის თვითსრულყოფის პოზიციაზე დგება, ე.ი. აბსრაჰირდება.

კათარზისული იმპულსით მხატვრობა თავისი ფორმალური სრულყოფის მაქსიმუმს — ე.ი. სტილისტური მეთოდის განვითარების სრულ ფორმალურ დაწმენდას აღწევს. (აბსტრაქცია— ეს არის ფორმალური უტილიტარიზმიდან სტილის სრული განთავისუფლება, დაწმენდა).

მაგალითად, კუბისტური პრინციპი, რომელიც საწყის ეტაპზე ხილვადი სამყაროს არსში გაღვრილი მიმეტური ხილვადი აზრის რეკონსტრუირება-დეკონსტრუირებას ისახავდა მიზნად, საბოლოოდ წმინდა წყლის გეომეტრიულ, ანუ კონსტრუქტივისტულ-კუბისტურ აბსტრაქციად ჩამოყალიბდა. ფუტურიზმი, რომლის პრინციპულ მიზანსა და დანიშნულებას ფორმალურად მოძრაობის სისტემა-სტრუქტურისა და ენერგეტიკის დაფიქსირება წარმოადგენდა, „ლინია ფორცას" ბოჩონისეული იდეის განვითარების ზღვარს ისევ აბსტრაქციაში, რომელსაც კოსტრუქტივისტული თუ კუბისტურ-გეომეტრიული აბსტრაქციისაგან დინამიზმი და სტრუქტურული ამორფულობა განსახვავებს. თუკი კარლ კარას შესანიშნავი ციტატის პარაფრაზირებას მოვახდენთ, ფუტურიზმი მართლაც ფიგურის იძულებული პოზისგან განთავისუფლების მცდელობას წარმოადგენს კომპოზიციის ტრადიციული ჩარჩოების ფარგლებში.

მიმეტურიდან კათარზისულში აბსტრაჰირდება არამარტო ტრადიციული სახვითობის ფარგლებში მოქმედი სტილურ-კონცეპტუალური მეთოდები და ფორმალური საშუალებები, არამედ ნაკლებად სახვითი არტ-ფორმები და მეთოდები.

მაგალითად, ე.წ. ენვირონმენტში თვით მოქმედება ხდება თვითმკმარი, მაქსიმალური ღირებულება. იგი აღარ გამოხატავს არც არტისტის სოციალურ მისწრაფებას, კონკრეტულ პირობას ან პროტესტს. ამ დროს აბსტრაჰირდება თვით ქმედებაში გამოვლენილი აზრი, თვით მოქმედებაა აზრი

და სწორედ ის არის სრულიად აბსტრაჰირებული.

სხვათა შორის, მიმეტურიდან კათარზისულში გარდასახვა-გადასვლის შესანიშნავი მაგალითია სეზანის მხატვრობა. ცნობილია, რომ სეზანი თავისი შემოქმედების დასაწყისში ცდილობდა მიმეტური, ამ შემთხვევაში გამოსახვის იდეის განხორციელებას თვით ობიექტის მაფორმირებელი შინაგანი კანონზომიერების გახსნის გზით. საბოლოო ჯამში, ყოველი მის მიერ მოძიებული სეზანური ფორმა კათარზისული თვითწმენდის შედეგად თავის მაქსიმალურ დამოუკიდებლობაში გარდაისახა ანუ გააბსტრაჰირდა.

ასევე დაემართა მისსავე აურაცხელ ეტიუდებს სენტ ვიქტუარის მთისა. ამ ნამუშევრებში მონასმის სტრუქტურის დაშლით, მისი სტრუქტურული დანიშნულების დეკონსტრუირებით გააბსტრაჰირდა თვით მონასმი.ბოლო ნამუშევრებში სეზანი, ფაქტობრივად, მამოდელირებელი მონასმის ლოგიკიდან ამოზრდილი აბსტრაქციის შედევრებს ქმნიდა. თანდათანობით მათ სტიმული მისცეს მრავალ აბსტრაქტულ ფორმალურ პრინციპს — ნეოპლასტიციზმს, სიმულტანიზმს, კონსტრუქტივიზმს.

ასე რომ, მიმეტური კანონზომიერების კვლევას სეზანთან და სხვებთანაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ფორმალური პრინციპი წმენდის შედეგად გადადის ამ ფორმის გაცხადების მაქსიმუმში, მის კათარზისულ მდგომარეობაში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ამ ფორმალური პრინციპის აბსტრაჰირება.

სავარაუდოა, რომ მიმეტური მსოფლაღქმიდან კათარზისულში გადასვლა რამდენადმე მაინც უკავშირდება სამყაროს, რელიგიისა და ზოგადად სოციალური ყოფის პროტესტანტულ მსოფლაღქმას. წმინდა ფორმალური თვითდასრულებულობის გარდა იგი ადამიანში წინ წამოსწევს შინაგან ფსიქოლოგიურ მომენტებს. ეს ყველაფერი მჭიდროდ უკავშირდება მატერიალიზმის დამკვიდრებასა და ადამიანის შინაგან მარტოობას, რაც საყოველთაო მოვლენაა და რისი შედეგებიც არაპროტესტანტული ქვეყნების ხელოვნებაში კათარზისული მომენტის ათეისტური ტიპის ავანგარდულ ფორმაში ვლინდება.

სრულიად ათეისტური იყო მეოცე საუკუნის თითქმის ყველა ავანგარ-

დისტული პროგრამა-მანიფესტი, დაწყებული მარინეტიდან, რომელიც კათოლიკურ სამყაროში აღმოცენდა თავისი ფუტურისტული ტრადიციების ნგრევის ესთეტიკით, დამთავრებული მარქსისტ-ფროიდისტი ბრეტონითა და მართლმადიდებლობის არსში წარმოქმნილი რუსულ-აღმოსავლური ,,პოზიტივისტურ-პროგრესისტული'' ავანგარდით.

ხელოვნების ნაწარმოები ხდება პიროვნული, თუ შეიძლება ითქვას, ეგოისტური მონოლოგიური თვითაღსარების შედეგი. თანამედროვე ხელოვნების აგრესიული, შემტევი ხასიათი, მეტისმეტად აქტიური ფსიქოლოგიური ზეწოლა ადამიანზე სწორედ კათარზისული ორენტაციის შემოჭრის გამოხატულებაა სახვითი ხელოვნების სფეროსა და ფუნქციაში.

თუმცა კი, აღსარების ეს ფორმა მხატვრობაში მაინც ვერ ახდენს იმ სულიერ-რიტუალური მოთხოვნილების კომპენსირებას, რასაც იგი დასავლური კულტურის სფეროში ასრულებდა.

განუზომელი შემზარავი მარტოობა, და ამავე დროს, ამ მარტოობაში თვითშენარჩუნების სურვილი ერთგვარად ასრულებს მიმეტური ხელოვნების ეპოქას, რომლის სპეციფიკაც ადრე შესანიშნავად ჩანდა სივრცობრივი სახოვანი გამოსახულების არსში, ე.ი. მაშინ, როცა ობიექტი იხატებოდა წარმოსახვით სივრცეში ისე, რომ იგი ნაწილდებოდა ჰორიზონტის ხაზს აქეთ, ადამიანის სამზერი სივრცის ფარგლებში. ეს ეპოქა მთავრდება და იკეტება ,,ანტიჰორიზონტისტული'' მხატვრობით, როცა ჰორიზონტის ხაზით დასაზღვრული სივრცის მიმეტურობა უქმდება და იწყება თვითმკმარი სივრცის, ჩაკეტილი სივრცის იდეის არსებობა, ე.წ. ორგანზომილებიანი სივრცის სისტემის გაგება, რომელიც წინა ეპოქების ორგანზომილებიანობიდან პრინციპული ვოლუნტარიზმით გამოირჩევა და შესანიშნავად ვლინდება აბსტრაქტულ ხელოვნებაში.

თანამედროვე მხატვრობა — ეს არის შენაცვლებათა პროცესი განვითარებად და უკვე ჩამოყალიბებულ მდგომარეობებს შორის.

განვითარების პროცესი მხატვრობაში თავისთავად ნიშნავს მიმეტურიდან კათარზისულში გადასვლის უწყვეტ პროცესს, ხოლო დასრულებული მდგომარეობა კი უკვე შეუქცევადი მდგომარეობაა, როცა პროცესი

აღარ უბრუნდება თავის საწყისებს. ამდენად, სწორედ განვითარების პროცესში მყოფი ფორმალური იდეის ხანგრძლივი არსებობაა ხელოვნებისათვის სასურველი.

სტილური კათარზისული მდგომარეობა სტილური დასრულებაა თავის თავში. ეს კი ფორმალური კვდომის ნიშანია; ფორმალური სახე მთლიანად იცვლება მნიშვნელობისა და შინაარსისაგან და საბოლოოდ კარგავს განვითარების უნარს.

აბსტრაქცია ფორმის მთლიანი გამარჯვებაა მნიშვნელობაზე, იგი ფორმა-სტილის სახეობრივი არსებობის ამოწურვაა და ამიტომ, მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც განვითარება უკვე აღარ არის შესაძლებელი.

სახვითობა მხატვრობაში მიმეტურსა და კათარზისულს შორის იბადება.

ხელოვნების დანიშნულება კი საგანთა არსში დავანებული შესაძლებლობის ჩვენებაა და არა მათი ემპირიული სახე.

ხელოვნება, კონკრეტულად კი მხატვრობა საგანთა და მოვლენათა პოტენციური ვიზუალური შესაძლებლობის გაცხადებაა, ფორმა მხატვრობაში ტრანსცენდენტურ სამყაროში გადასვლის ზღვარზე ჩერდება — მის იქით იწყება აბსულუტური ზოგადობა.

მიღებულია: 10.05.2002